

# ელექტრონული მთავრობის ძირითადი მოდელები და განვითარების ეტაპები

ელექტრონული მთავრობის (ე-მთავრობა) კონცეფცია მრავალგანზომილებიანი ბუნებისაა, რომლის ტერმინი თანამედროვეა, თუმცა პროცესი დიდი ხანია გრძელდება. ისევე როგორც სხვა კონცეფციის შემთხვევაში, მეცნიერებასა და სწავლულებს შორის არსებობს ე-მთავრობის კონცეფციის მრავალი განსაზღვრება.

ე-მთავრობის კონცეფციის საფუძველია სახელმწიფო ორგანოების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, მოქალაქეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მომსახურების მიწოდების ეფექტიანობა და ოპერატიულობის ამაღლება.<sup>1</sup>

ე-მთავრობა განისაზღვრება, როგორც „საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ეფექტიანი მართვის რეალიზაციის ინსტრუმენტის სახით“, სადაც „ეფექტიანი მართვის“ კონცეფციას მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის გზაზე სისრულეში მოყვას ადმინისტრაციულ ქმედუნარიანობა, მთავრობის საქმიანობის ოპტიმიზაცია<sup>2</sup> და ტრანსფორმირება და თვითორგანიზება მოქალაქეების, ორგანიზაციებისა და სამთავრობო ორგანოების მოთხოვნილებების ცვლილებების შესაბამისად.

ე-მთავრობა აღქმულია, როგორც „სამთავრობო ინფორმაციისა და მომსახურების მიწოდების საშუალება“ (Moon M., Norris D.),<sup>3</sup> რომელიც მიმართულია საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სამთავრობო პროცესების ორგანიზაციის, სტრუქტურის ტრანსფორმაციის (Lenk K., Traunmüller R.),<sup>4</sup> სახელმწიფო მართვის სფეროს ინოვაციისა და მოდერნიზაციის,<sup>5</sup> მომსახურებისა და მართვის ოპტიმიზაციის,<sup>6</sup> ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე მთავრობის ჩამოყალიბებისკენ.

ე-მთავრობის დეფინიციის ფორმა შეიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს - ე-მთავრობა წარმოშობილია ე-მოქალაქეების, ICT-ის, ბიზნესისა და მართვის ურთიერთდაკავშირებით. მისი წარმატებული ფუნქციურობა საჭიროებს ოთხივე კომპონენტს (Misra D. Ch.).<sup>7</sup>

ე-მთავრობის ბუნება უზრუნველყოფს მთავრობის გენერირებულ ინფორმაციასთან დაშვებას, მთავრობის ფუნქციებისა და საქმი-

რეაქტი აბსულაქი

ეკონომიკის დოქტორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი

ანობის ქმედუნარიანობას, ეფექტიანობის ამაღლებას, მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის ეკონომიკურ სარგებელს, მთავრობის გამჭვირვალობას,<sup>8</sup> პროცესების სტანდარტიზაციას, სამთავრობო რეგულაციებისა და პოლიტიკის სტრუქტურას, ბიზნეს კლიმატის სრულყოფას, სახელმწიფო შემოსავლების ზრდას,<sup>9</sup> თანაბარუფლებიანობას, ემანსიპაციასა და ავტონომიას (ბიუჯეტთან დამოკიდებულებაში).<sup>10</sup>

ე-მთავრობა განიხილება, როგორც ევოლუციური ფენომენი, რომლის დანერგვა წარმოადგენს შეუწყვეტელ პროცესს, ხოლო განვითარება კონცეპტუალიზდება რამდენიმე ეტაპზე.<sup>11</sup> იგი ეფექტიანი მმართველობის მიღწევის ინსტრუმენტი, რომელიც პროცესების რეალიზებას ახდენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ძირითადად ინტერნეტით, გლობალური ქსელით, მობილური კავშირით და ისეთი ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა კომპიუტერი, სენსორული ტელეფონი, ფაქსი, სმარტ-ბარათი, პლანშეტი და სხვა.

გარკვეული დილემა არსებობს „ელექტრონული მთავრობის“ ცნების ინტერპრეტაციისა და ფარდობითად ლიმიტირებულია „ელექტრონული მთავრობის“ განსაზღვრების ტიპები. კერძოდ, „ელექტრონული მთავრობის“ (ინგლ. e-Government) ცნება ერთმნიშვნელოვანი არ არის. მას ხშირად „სახელმწიფოს ელექტრონულ მმართველობასთან“ აიგივებენ,<sup>12</sup> ე-მთავრობას განსაზღვრავენ ე-მომსახურების და ე-დემოკრატიის ტერმინებში.<sup>13</sup> ამსგავსებენ „ე-კომერციას“ და „ე-განათლებას“, განიხილავენ, როგორც „სახელმწიფოს ე-ბიზნესს“. <sup>14</sup> ასევე გავრცელებულია „e-Government-ის“ აზრობრივად არაზუსტი თარგმანი. მთლიანობაში კი ე-მთავრობა ზემოაღნიშნულ კომპონენტებსა და მათ ინსტრუმენტებს იყენებს ეფექტიანი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მთავრობის მშენებლობისთვის, თუმცა ე-მთავრობა, ე-კომერცია, ე-ბი-

ზნესი, ე-განათლება არის ე-მართვის ბირთვის ნაწილი.

ე-მთავრობის კონცეფციის კომპონენტები და სისრულეში მოყვანის „დეკორის“ ელემენტებია: ტექნოლოგიები და დანართები 20 %; ბიზნეს პროცესების რეინჟინინგი 25 %; ინტერაქტიულობა, ტრანსაქცია, ურთიერთქმედება 10%; მართვის სფეროს ტრანსფორმაცია 15%; ადმინისტრაციული კულტურა 15%, საზოგადოების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია 5%; საზოგადოების ე-ცოდნიერება და ინფორმაციული კულტურის ფორმირება 5 % და წარმატების ფაქტორი 5 %.

ე-მთავრობის მოდელი სქემატურად შეიძლება განხილული იქნეს ინფრასტრუქტურის, ICT სექტორის, ციფრული ტექნოლოგიების, სამართლებრივი ნორმების, კონტენტისა და მომსახურების ელემენტების ურთიერთქმედებითა და მიმართულებებით, რაც უნდა იყოს მისაწვდომი, ინტენსიურად გამოყენებადი, უზრუნველყოფილი რესურსებითა და აქტივებით, გამყარებული სტრატეგიითა და პოლიტიკით.<sup>15</sup>

სხვადასხვა ქვეყანაში ე-მთავრობის რესურსების განვითარების პროცესის სრულყოფისთვის სწავლულ-მეცნიერთა მიერ გამოვლენილია ელექტრონული მთავრობის დანერგვის ეტაპები ე-მთავრობის რესურსების, პროცესების, ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურისა და web-ის შეფასების საფუძველზე. ე-მთავრობის განვითარების ეტაპები უზრუნველყოფს ე-მთავრობის მიერ მიღწეულ შედეგს, მოდელი კი შედგება დაბლიდან მაღალი საფეხურისკენ ზრდის სტადიებით. ე-მთავრობის განვითარების ეტაპები ზოგიერთი ავტორის შემთხვევაში ერთმანეთის მსგავსია, თუმცა განსხვავებულია ე-მთავრობის განვითარებისა და სისრულეში მოყვანის ეტაპების რაოდენობა და ამ ეტაპების მახასიათებლები და მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 1).

ცხრილში მოცემულია ე-მთავრობის მახასიათებლების კომბინაცია და ე-მთავრობის მომსახურებიდან მიღებული ფასეულობები და სარგებელი დაბლიდან მაღალი ფაზისკენ ზრდის დროს. ე-მთავრობის ეტაპები წარმოადგენს ე-მთავრობის მახასიათებლების კომბინაციას ფართო პორიზონტებით და განვითარების დონეებს შედგენილობისა და მომსახურების წვდომის დამოკიდებულებით.

ე-მთავრობასთან დაკავშირებული პრობლე-

მების მართვისა და კოორდინაციის საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით ცალკეულ ქვეყნებში მოქმედებს სხვადასხვა ინსტიტუციონალური მექანიზმი, რომელიც მოიცავს ერთი მოდელიდან მეორეზე გადასვლის პროცესს, ჰიბრიდის ექსპერიმენტებს, სრულიად ახალი მოდელის განვითარებას.<sup>16</sup>

დღეისათვის უმრავლეს ქვეყანაში უკვე მიღწეულია ე-მთავრობის მზადყოფნა, განვითარების მაღალი ტემპები და საზოგადოებრივი პოპულარობა, რაც განპირობებულია ციფროვიზაციის ფართო პორიზონტებით, ე-მთავრობაზე ორიენტირებითა და მისგან მიღებული სარგებლის მიმზიდველობით.

ე-მთავრობის მოდელის დანერგვისაგან მიღებული სარგებელი მრავალფეროვანია, რომელთაგან აღსანიშნავია: სახელმწიფოს ხარისხიანი და ფართო მომსახურებით კერძო და სამოქალაქო საზოგადოების უზრუნველყოფა, დაბალხარჯიანი კომუნიკაცია და ინფორმაციასთან შეუზღუდავი დაშვება, ეკონომიკური ეფექტიანობა, ტრანსაქციის დაბალი ხარჯი, ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის მაღალი ტემპები, შემცირებული ციფრული უთანასწორობა, მართვაში მოქალაქეების აქტიური ჩართულობა, დეცენტრალიზაცია, მოქალაქეებისთვის დემოკრატიული პორიზონტის გაფართოება, დისტანციის აღმოფხვრა შორეულ ან ნაკლებად კომპაქტურად დასახლებული ადგილებისთვის, ტექნოლოგიური ინოვაციები და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ე-მთავრობა უფრო ურთიერთობების გარდაქმნაა, ვიდრე ტექნოლოგიების, რომელიც საჭიროებს ახალ არქიტექტურულ საწყისებს, ელექტრონულ ბიუროკრატias, მარკეტინგულ სტრატეგიას, სახელმწიფო დაწესებულებების სტრუქტურულ რეფორმირებას, მართვის მოდერნიზაციას, მომსახურების პროცესების მოდერნიზაციას, ტექნოლოგიურ ინიციატივებს, ხელმისაწვდომ ტექნოლოგიურ სივრცეს, ინფორმაციული საზოგადოებისა და გარემოს ფორმირებას, სამართლებრივი ბაზის განახლებას, ინფორმაციულ უსაფრთხოებას (ელექტრონული საკუთრების, ელექტრონული ხელმოწერის დაცვა), შეუზღუდავ წვდომას, დანართებისა და ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარების სტიმულირებას, გადახდისუნარიან ინფორმაციულ საზოგადოებას, ფინანსებს, მიმზიდველ საინვესტიციო კლიმატს და სხვა.

# რეაქტი აბსულაქი

ცხრილი 1. ე-მთავრობის მოდელი და განვითარების ეტაპები\*

| მოდელი                              | ეტაპები                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
|-------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| Khalid M. Al-Tawil-ის მოდელი        | <p>I ეტაპი. <b>წარდგენა</b> - საზოგადოებრივი დომენები, კვალიფიციური პერსონალი, პროცესების ოპტიმიზება, ღირებულებები და ონლაინ კონტენტი;</p> <p>II ეტაპი. <b>ურთიერთქმედება</b> - საზოგადოებისა და კონტენტის ადმინისტრირება, მხარდაჭერის ზრდა, მონაცემთა ბაზა;</p> <p>III ეტაპი. <b>ტრანსაქცია</b> - კონკურენტუნარიანი, სამართლებრივი, ელექტრონული გარემო. ინფორმაციასთან შეუზღუდავი წვდომა, მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხები. ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება;</p> <p>IV ეტაპი. <b>ტრანსფორმაცია</b> - ტელეკომუნიკაციის სექტორის მაღალმწარმოებლურობა; მრავალფეროვანი პროგრამები; სახელმწიფო მომსახურების, ინტერფეისის, დანართების დახვეწა/განახლება; კულტურული, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ბიზნეს ფასეულობათა ცვლილება.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                               |
| Layne Karen & Lee Jungwoo-ის მოდელი | <p>I ეტაპი. <b>კატალოგიზაცია</b>- web-საიტების შექმნა, ინტერნეტში მისაწვდომი სამთავრობო ინფორმაცია და მომსახურება; ონლაინ კატალოგის არსებობა; ჩამოსატვირთი ფორმები;</p> <p>II ეტაპი. <b>ტრანსაქცია</b> - მოქალაქეების ინტერაქციული ურთიერთობა მთავრობასთან; სერვისები და ონლაინ ფორმები; ონლაინ ტრანსაქციის მხარდაჭერი ბაზა.</p> <p>III ეტაპი. <b>ვერტიკალური ინტეგრაცია</b> - ფოკუსირება სხვადასხვა სახის დონის ინტეგრაციაზე; ადგილობრივი სისტემები; ერთგვარი ფუნქციონალურობა.</p> <p>IV ეტაპი. <b>ჰორიზონტალური ინტეგრაცია</b> - ჰორიზონტალური ფუნქციების სახელმწიფო მომსახურების ინტეგრაციაზე ორიენტირება; განსხვავებული ფუნქციების ინტეგრირებული სისტემები; ერთი ფანჯრის პრინციპი.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| United Nations-DPEPA-ის მოდელი      | <p>I ეტაპი. <b>გამოვლენა</b> - web-გვერდები და/ან ოფიციალური საიტები. სტატისტიკური ინფორმაცია, მოქალაქეებთან მცირე ინტერაქტიულობა;</p> <p>II ეტაპი. <b>გაფართოება</b> - სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის საკითხებში დეტალური ინფორმირება. მოქალაქეებისთვის საარქივო მონაცემების მისაწვდომობა;</p> <p>III ეტაპი. <b>ინტერაქტიულობა</b> - ინტერაქტიული მომსახურება. საგადასახადო ანგარიშსწორების ჩამოსატვირთი ფორმები, ღირებულების დანართები. მოქალაქეების კომფორტზე ორიენტირებული პორტალის მომსახურება;</p> <p>IV ეტაპი. <b>ტრანსაქცია</b> - მოქალაქეებისა და მთავრობის ორმხრივი ურთიერთქმედება. G2C მოდელის ყოველივე ოპერაციის წარმოებისა და სერვისთან წვდომის 24/7 შესაძლებლობა;</p> <p>V ეტაპი. <b>სრული ინტეგრირება</b> - მთავრობის ტრანსფორმირება მოქალაქეების მოთხოვნილებებზე ინტეგრირებული ინფრასტრუქტურით. ჰორიზონტალური კავშირები (სახელმწიფო ორგანოებს შორის); ვერტიკალური კავშირები (ცენტრალური და ადგილობრივი მართვის ორგანოებს შორის); მთავრობასა და მოქალაქეებს შორის კავშირი (ე-თანამონაწილეობა); დაინტერესებულ მხარეებს შორის კავშირი.</p> |
| Moon M., Hiller, Bélanger-ის მოდელი | <p>I ეტაპი. <b>ინფორმაციის მარტივი გავრცელება (ერთმხრივი კავშირი)</b> - ინფორმაციის მარტივი გავრცელება web-გვერდზე განთავსებით;</p> <p>II ეტაპი. <b>ორმხრივი კავშირი (კითხვა და პასუხი)</b> - მთავრობასა და მომხმარებელს შორის ურთიერთქმედება;</p> <p>III ეტაპი. <b>მომსახურებისა და ფინანსების ტრანსაქცია</b> - ტრანსაქცია, როგორც მთავრობასა და ინდივიდუალურ პირებს შორის (მაგ.: ვიზის მიღება), ასევე მთავრობასა და ბიზნესს შორის (მაგ.: საოფისე ინვენტარის შეკვეთა).</p> <p>IV ეტაპი. <b>ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია</b> - ცალკეული სისტემების ინტეგრაცია სხვადასხვა ეტაპზე (ვერტიკალური) და სხვადასხვა დეპარტამენტებიდან (ჰორიზონტალური);</p> <p>V ეტაპი. <b>პოლიტიკური მონაწილეობა</b> - პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სტიმულირება, ონლაინ ხმის მიცემისა და გამოკითხვის სერვისი.</p>                                                                                                                                                                                                                                                 |

# საქართველოს ეკონომიკური პრობლემები

## ცხრილი 1-ის გაგრძელება

|                                                      |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |
|------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| Siau K., Long Y -<br>ის მოდელი                       | <p>I ეტაპი. <b>web-არსებობა</b> - web-საიტის მარტივი, ლიმიტირებული, სტატისტიკური, ტიპური შეტყობინება (ორგანიზაციის ხედვა, მისია, სამუშაო საათები, საკონტაქტო ინფორმაცია, ოფიციალური დოკუმენტები).</p> <p>II ეტაპი. <b>ურთიერთქმედება</b> - მთავრობასა და მომხმარებლებს შორის მარტივი ურთიერთქმედება. საძიებო სისტემები, ე-ფოსტის სისტემა, ფორუმების ოფიციალურ ჩამოტვირთვა და სხვა.</p> <p>III ეტაპი. <b>ტრანსაქცია</b> - სრული ონლაინ ტრანსაქციის წარმოება. ონლაინ თვითმომსახურება (ლიცენზიების მიღება, საგადასახდო დეკლარაციის შევსება, პირადი ინფორმაციის განახლება, შეკვეთები, აუქციონზე მონაწილეობა);</p> <p>IV ეტაპი. <b>ტრანსფორმაცია</b> - ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია. კომპლექსური მომსახურების ერთიან პორტალი.</p> <p>V ეტაპი. <b>ე-დემოკრატია</b> - ე-მთავრობის განვითარება, ონლაინ არჩევნები, ხმის მიცემა, პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობა, მართვაში მოქალაქეების ჩართულობა, მართვის გამჭვირვალობის სრულყოფა, ონლაინ კვლევის ინსტრუმენტების გამოყენება.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| Deloitte Research<br>cited in Silcock -<br>ის მოდელი | <p>I ეტაპი. <b>ინფორმაციის საჯარო გამოქვეყნება</b> - უწყებებისა და დეპარტამენტების საიტების შექმნა, ერთმხრივი კავშირები.</p> <p>II ეტაპი. <b>ოფიციალური ორმხრივი თანამშრომლობა</b> - ელექტრონული ურთიერთქმედების შესაძლებლობა;</p> <p>III ეტაპი. <b>მრავალ დანიშნულებიანი პორტალი</b> - ერთი წერტილიდან სახელმწიფო მომსახურებისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა;</p> <p>IV ეტაპი. <b>პორტალის პერსონალიზაცია</b> - კლიენტების უზრუნველყოფა მათი მოთხოვნილებების შესაბამისი ფართო შესაძლებლობების პორტალებით;</p> <p>V ეტაპი. <b>საზოგადოებრივი სამსახურების კლასტრიზაცია</b> - უფრო სრულყოფილი პორტალები, სამთავრობო დეპარტამენტების შემცირება, მომსახურების პროცესების სისწრაფე და ოპტიმიზაცია;</p> <p>VI ეტაპი. <b>სრული ინტეგრაცია და გარდაქმნა</b> - სახელმწიფო უწყებების ინტეგრაცია, ოპტიმიზაცია, გარდაქმნა და მოქალაქეების მოთხოვნილებების შესაბამისი უწყებების ფორმირება.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
| Asia Pacific<br>(Clay G. Wescott)<br>-ის მოდელი      | <p>I ეტაპი. <b>ე-ფოსტის სისტემისა და შიდა ქსელის შექმნა</b> - სახელმწიფო სისტემების მიერ ძირითადი ადმინისტრაციული ფუნქციების მხარდაჭერა შიდა პროცესებზე ფოკუსირება;</p> <p>II ეტაპი. <b>ინფორმაციასთან ორგანიზაციათაშორისი და საჯარო წვდომა</b> - დოკუმენტბრუნვის სამუშაო პროცესის მართვის სისტემის განვითარების ეტაპი. პრეტენზიების დამუშავება და მართვა, მოთხოვნილებებისა და წინადადებების მარშრუტიზაცია და თვალყურის დევნება, კლიენტების მომსახურება;</p> <p>III ეტაპი. <b>ორმხრივი კავშირი</b> - ICT-ი, როგორც ურთიერთობის მამოძრავებელი ძალა. სახელმწიფო მომსახურება, კანონები და ნორმატიული აქტები, სიახლეები, სხვა უწყებების მისამართები და სხვა;</p> <p>IV ეტაპი. <b>ღირებულებების გაცვლა</b> - ICT-ით საქმის უფრო მოქნილად და ხელსაყრელად წარმოება. მთავრობის ონლაინ მომსახურების კავშირის გამოყენება გადასახადის გადახდის, ვიზებისა და ლიცენზიების გაგრძელების ჩათვლით;</p> <p>V ეტაპი. <b>ციფრული დემოკრატია</b> - ICT-ის ნაკრები, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობას, სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაფართოებას, არჩევნებში მონაწილეობას, საკუთარი შესვდულებების გამოთქმას;</p> <p>VI ეტაპი. <b>ერთიანი მთავრობა</b> - სახელმწიფო ორგანოებისა და უწყებების ინფორმაციისა და მომსახურების ერთიანი web-პორტალი. მომსახურების მიწოდების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია. გეოგრაფიული დონეზე მთავრობის ფუნქციონალური მომსახურების მიღება.</p> |

\*ცხრილი აგებულია სხვადასხვა წყაროს საფუძველზე

1. Mahadeo J. D. Towards an Understanding of the Factors Influencing the Acceptance and Diffusion of e-Government Services. <http://www.ejeg.com/volume-7/vol7-iss4/Mahadeo.pdf>
2. Lili S., Stojanovi M. E-Government and Administrative Reform in Serbia. Masaryk University Journal of Law and Technology. [http://mujlt.law.muni.cz/storage/1236039485\\_sb\\_09-lilic-stojanovic.pdf](http://mujlt.law.muni.cz/storage/1236039485_sb_09-lilic-stojanovic.pdf)
3. Moon M. J. Norris D. Does managerial orientation matter? The adoption of reinventing government and e-government at the municipal level. Information Systems Journal, 15, 43-60. 2005.
4. Lenk K., Traunmüller R. "A Framework for Electronic Government", in Proceedings of DEXA 2000, London/Greenwich, UK, September 4-8, 2000.
5. Wimmer M.A., Tamborius E. Online One-Stop Government: A working framework and requirements. In proceedings of the IFIP World Computer Congress, Montreal. August 26-39, 2002.
6. <http://www.itgov.org.sa/jalasat/khalid-1.ppt#1>
7. Misra D.C. Defining e-government: a citizen-centric criteria-based approach. Proceedings of the 10th National Conference on E-governance, Bhopal, Madhya Pradesh. February 2-3, 2006. e-Governance Compendium 2007. <http://esaconf.un.org/wb/default.asp?action=9&boardid=10&read=2989&fid=169>
8. <http://www.veam.org/papers2009/E-Government%20Service%20Development.pdf>
9. MacEachern E. Incorporating ICT's into the Regional Development Agenda: Using E-Government Systems as the Driver. 30 September 2008. [www.strconsulting.ca](http://www.strconsulting.ca)
10. Besselaar van den P. E-government: social issues. [http://www.ifi.uzh.ch/~riedl/egov\\_bess.pdf](http://www.ifi.uzh.ch/~riedl/egov_bess.pdf)
11. Andersen K.V., Henriksen H.Z. / Government Information Quarterly 23, 2006. [http://ws.egovmonet.eu/Background/paper%202%20AndersenHenriksen\\_GIQ.pdf](http://ws.egovmonet.eu/Background/paper%202%20AndersenHenriksen_GIQ.pdf)
12. <http://www.egovmonitor.com/node/6556>
13. Nordfors L., Ericson B., Lindell H & Lapidus J. 'eGovernment of Tomorrow - Future scenarios for 2020~', November 2009. <http://www.vinnova.se/upload/EPiStorePDF/vr-09-28.pdf>
14. Abdelghaffar H., Bakry W. M., Duquenoy P. E-government: a new vision for success. <http://www.iseing.org/emcis/EMCIS2005/pdfs/36.pdf>
15. Peña-López I. 'ICTs, development and government: from e-Readiness to e-Awareness~'. Universitat Oberta de Catalunya. Barcelona, October 20th, 2008. [http://ictlogy.net/presentations/20081020\\_ismael\\_pena-lopez\\_-\\_ict\\_development\\_government.pdf](http://ictlogy.net/presentations/20081020_ismael_pena-lopez_-_ict_development_government.pdf)
16. Hanna N. K., Zhen-Wei Qiang C., Kimura K., Chew Kuek S. National E-Government Institutions: Functions, Models, and Trends. [http://siteresources.worldbank.org/EXTIC4D/Resources/5870635-1242066347456/IC4D\\_2009\\_Chapter6.pdf](http://siteresources.worldbank.org/EXTIC4D/Resources/5870635-1242066347456/IC4D_2009_Chapter6.pdf)

## MAIN MODELS OF ELECTRONIC GOVERNMENT AND THE STAGES OF DEVELOPMENT

**RATI ABULADZE**  
*Doctor of Economy, professor*

In the Article there is reviewed the evolutionary phenomena of e-government, the implementation of which is a continues process. It is providing the information transparency and efficiency of the functions and activity of government, economic profitability for the state, citizen and business, standardization and transparency of administering process, regulation of the governments providing of politics and business climate, equality of rights, emancipation and autonomy.

In the article, there is reviewed the concepts nature of e-government, its perception and main trends.

There are show the components required for the implementation of e-government, where there are allocated as follows: Technologies and annexes, ranging of process, intellectuality without any obstacle, transaction and mutual action, transformation of the field of administration, administrative and civil culture, high computerization of society, internalization and well education, factor of success.

The models, stages of development of e-government presented and analyzed and shown on the basis of generalization the benefit gained by implementation and there are formatted actions of state character.